სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

62956950251617

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171502002

რეგისტრაციის თარიღი

27.12.2017 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუს ირმა შარვაძეს (სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №42) სს „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. №29ა, მომმართა **ვასილ ხოდელმა** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს „საქართველოს ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს „საქართველოს ბანკის“ ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის კახაბერ კიკნაველიძის მიერ 2017 წლის 12 ოქტომბერს, დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 171205660 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **ვასილ ხოდელმა** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ზურაბ ხუციშვილის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ვასილ ხოდელის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ვასილ ხოდელმა (დაბადებული 27.10.1976 წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01024024971, მცხოვრები: თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.№56, ბინა №14) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **ვასილ ხოდელმა** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

მარწმუნებელი

ვასილ ხოდელი _____

რწმუნებულება

მე, სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **ვასილ ხოდელი** (პ/ნ: **01024024971** (შემდგომში - მარწმუნებელი)), ვანიჭებ უფლებამოსილებას **ზურაბ ხუციშვილს** (დაბადებული 31.01.1979 წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 04001000646), რათა მან მარწმუნებლის (სს „საქართველოს ბანკის“) სახელით:

1. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, ხელი მოაწეროს):

1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის, საბანკო გარანტიის, აკრედიტივის, სტენდბაი აკრედიტივის, დოკუმენტალური ინკასოს, ფაქტორინგის, ესქრო ოპერაციების ან/და სხვა სახის საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები) ან/და სუბორდინაციის, ვალის გადაკისრების, მოთხოვნის დათმობის, ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.2. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებებს ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი / ხელშეკრულება(ები) / შეთანხმება(ები) / გარიგება(ები);

1.3. ნასყიდობის, გამოსყიდვის (შესყიდვის და გაყიდვის ოფციის შესახებ), უპირატესი შესყიდვის და უძრავ/მოძრავ ქონებასთან ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი / ხელშეკრულება(ები) / შეთანხმება(ები) / გარიგება(ები);

1.4. შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტ(ებ)ი / ხელშეკრულება(ები) / შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)

1.5. წინამდებარე რწმუნებულების 1.1, 1.2, 1.3 და 1.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში / ხელშეკრულება(ებ)ში / შეთანხმება(ებ)ში / გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის ან/და შეწყვეტის/მოშლის/გასვლის/უარის თქმის შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ბრძანება(ები)/განკარგულება(ები)/განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი.

2. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში.

3. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო (მათ შორის და არა მხოლოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში, სსიპ შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ეროვნულ ბანკში, სანოტარო ბიუროში), ან/და კერძო დაწესებულებებში/ორგანიზაციებში წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/ კორესპონდენციას / განცხადებ(ებ)ს / წერილ(ებ)ს (მათ შორის და არა მხოლოდ წარადგინოს განაცხად(ებ)ი სააღსრულებო ფურცლის აღებასთან და მის მიღებასთან დაკავშირებით).

4. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები) / შეთანხმება(ები) / გარიგება(ები) / განცხადება(ები) / წერილ(ებ)ი / დოკუმენტაცია.

ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს, რომელიც დაკავშირებულია მარწმუნებლის მიერ გასაწევ ხარჯებთან 1000 (ათასი) ლარის ფარგლებში.

6. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის აზრით, საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის და წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10 (ათი) ლარი, 20 (ოცი) სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011წ. №507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

მარწმუნებელი

ვასილ ხოდელი _____

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე _____



№ 25/1615

"28" დეკემბერი 2018

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს ,,საქართველოს ბანკი", როგორც იპოთეკარი, თანახმაა, რომ სს ,,საქართველოს ბანკი"-ს უფლების საგანზე საკადასტრო კოდით #01.12.01.003.196, 01.12.01.003.197, 01.12.01.003.222, 01.12.01.003.221 და 01.12.01.003.220 (მესაკუთრე: სს "ელმავალმშენებელი", ს/ნ 200002068), ქ. თბილისი, გამზირი დ. გურამიშვილი #84, რეგისტრირებულ მონაცემებში შევიდეს შემდეგი ცვლილება, კერძოდ, განხორციელდეს 01.12.01.003.196 ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის ფართობი 2244.00 კვ.მ. (დაზუსტებული) და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობები) N01/1, N02/1, 01.12.01.003.197 ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის ფართობი 434.00 კვ.მ. (დაზუსტებული) და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობები) N01/1, 01.12.01.003.222 ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის ფართობი 3440.00 კვ.მ. (დაზუსტებული) და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობები) N01/1, N02/1, N03/1, N04/1, 01.12.01.003.221 ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის ფართობი 392.00 კვ.მ. (დაზუსტებული) და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობები) N01/1, 01.12.01.003.220 ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის ფართობი 2584.00 კვ.მ. (დაზუსტებული) და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობები) N01/1, N02/1 შენობა–ნაგებობების დემონტაჟი. ამასთან, იმ პირობით, რომ მიწის ნაკვეთსა და ყველა დანარჩენ შენობა-ნაგებობაზე სს ,,საქართველოს ბანკი"-ს სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლებები სრულად შენარჩუნდება.

პატივისცემით,

ზურაბ ხუციშვილი

კორპორაციული სესხების რეაბილიტაციის დეპარტამენტის დირექტორი

თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
Phone: (+995 32) 2 444 444 Fax: (+995 32) 2 444 174 Web: www.bog.ge

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18002142, 10/01/2018 17:18:04

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	სს ელმავალმშენებელი
სამართლებრივი ფორმა:	სააქციო საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	200002068
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	1/5-33; 30/12/1998
მარეგისტრირებელი ორგანო:	ნაძალადევის რ-ნის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დ.გურამიშვილის გამზ., №84

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: ellocomotive@glmf.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- საერთო კრება
- დირექტორთა საბჭო
- სამეთვალყურეო საბჭო

თავმჯდომარე/წევრი: RUS 5127434471, 01097000663, იგორ ტუგბაევი, რუსეთის ფედერაცია, საქართველო

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01004004908, იური ჯიშკარიანი

წევრი: 65 02 927078, , ნატალია დიაგილევა, რუსეთის ფედერაცია

წევრი: 65 04 748052, , სტანისლავ ბოროვიკოვი, რუსეთის ფედერაცია

წევრი: 01022007025, დავით ბერიძე

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- გენერალური დირექტორი - 01001012589, დავით გორგოძე

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R11002207 20/12/2011 18:28:57**
  კრედიტორი : სს 'საქართველოს ბანკი' (საქართველო) 204378869
  მესაკუთრე : სააქციო საზოგადოება 'ელმავალმშენებელი' (საქართველო) 200002068
  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხილეთ სარეგისტრაციო დოკუმენტი)**
  საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, №001033-ბ, ნოტარიუსი: პაპუნა შენგელაია, რ/რ №100610924, 23.06.2010**
  23.06.2010.წ 001033-ბ გირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, შეთანხმება N1, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, 111382790, 19.12.2011
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R14039133 21/10/2014 15:55:34**
  კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869
  მესაკუთრე : სს ელმავალმშენებელი (საქართველო) 200002068
  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხ. სარეგისტრაციო დოკუმენტი)**
  საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, 001033-კ, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, 141153313, 20.10.2014**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R17198637 31/05/2017 16:10:35**
  კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869
  მესაკუთრე : სს ელმავალმშენებელი (საქართველო) 200002068

საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხ. გირავნობის ხელშეკრულება)**

საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, 001033-აა, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, 170586239; 170586270, 30.05.2017**

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge